

GEORGIAN SCROLLS - INTERDISCIPLINARY STUDY

ქართული გრაგნილი ხელნაწერები - ინტერდისციპლინური კვლევა

LELA SHATIRISHVILI

PhD, Chief Researcher

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

1/3 Merab Alexidze str. Tbilisi, Georgia

Email: helensha30@yahoo.com. Tel.: +995 595 551 006173

ORCID ID: <http://orcid.org/0000-0002-7846-2630>

NESTAN CHKHIKVADZE

PhD, Chief Researcher

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

1/3 Merab Alexidze str. Tbilisi, Georgia

Email: nestan_tch@yahoo.com. Tel.: +995 599 167459

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0008-4161-8479>

SHORENA TAVADZE

PhD, Restaurateur,

Ap. Kutateladze Tbilisi State Academy of Fine Art,

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

1/3 Merab Alexidze str. Tbilisi, Georgia

Email: tavadze@hotmail.com. Tel.: +995 595 635544

ORCID ID: <https://orcid.org/0000-0002-6216-9093>

ABSTRACT

The article publishes the results of an interdisciplinary study of scrolls containing literary texts of the 14th-19th centuries, stored in the collection of the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts of Georgia. The work carried out in the fields of codicology and manuscript restoration focuses on scrolls as historical sources containing reliable evidence of the development of social and religious relations of the late Middle Ages and in Early modern period. One of the main goals of the conducted research is to take care of the preservation of cultural heritage and discuss modern methods of conservation of manuscript monuments.

In the course of the work, based on the study of paleographic and thematic features of the handwritten material, two main areas of purpose for Georgian scrolls were identified - ecclesiastical and secular. The ecclesiastical scrolls mainly contain heterogeneous recensions of the liturgies of John Chrysostom and St. Basil the Great, and the communion prayer. The structural changes in these texts and the multiplicity of recensions indicate the beginning in the late Middle Ages and in Early modern period of

procedural changes in church service of the Byzantine tradition followed by the Georgian church up until 14th century. All these scrolls, copied in parchment, are characterized by multiple damages. Based on a study of their causes and possible risks, preventive conservation work was carried out on the mentioned copies.

Scrolls for secular purposes reflect the process of expanding the social environment for the consumption of literary monuments. It is significant that these scrolls contain family geneologies and texts protection from evil spirits, acting as amulets. The writing material for creating secular scrolls is paper of varying quality, depending on the status and financial situation of the customer. In order to ensure the safety of the scrolls, after conservation work has been carried out, the scrolls are transferred to the laboratory of digitalization to create digital versions.

In order to expand access to literary scrolls and the results of their research, Manuchar Guntsadze, a specialist in digital humanities at the center, is creating a database of Georgian scrolls, which will be posted on the center's website

The study of Georgian scrolls is carried out within the framework of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia project "Interdisciplinary Study of Scroll Manuscripts" (FR 21-695, 2022–2025).

Keywords: Manuscript; scroll; liturgy; amulet; preventive conservation;

ლელა შათირიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი, მ.ალექსიძის 1/3
ელფოსტა: helensha30@yahoo.com; მობ.: +995 551 006173
ORCID ID: <http://orcid.org/0000-0002-7846-2630>

ნესტან ჩხიკვაძე

ფილოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი, მ. ალექსიძის 1/3
ელფოსტა: nestan_tch@yahoo.com. მობ.: +995 599 167459
ORCID ID: <https://orcid.org/0009-0008-4161-8479>

შორენა თავაძე

დოქტორანტი, რესტავრატორი, მეცნიერი თანამშრომელი,
კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
ელფოსტა: tavadze@hotmail.com მობ.: +995 595 635544
ORCID ID: <https://orcid.org/0000-0002-6216-9093>

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია წარმოადგენს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული XIV-XIX საუკუნეების ლიტერატურული ტექსტების შემცველი გრაგნილების ინტერდისციპლინური კვლევის შედეგებს. კოდიკოლოგიისა და ხელნაწერის რესტავრაციის სფეროებში შესრულებული კვლევა ლიტერატურულ გრაგნილებს განიხილავს, როგორც გვიანი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის სოციალური და რელიგიური ურთიერთობების მნიშვნელოვან წყაროს. გარდა ამისა, ჩატარებული კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-აღრიცხვის მიმართულების განვითარებას, შესაბამისად, განიხილავს ხელნაწერი ძეგლების კონსერვაციის თანამედროვე მეთოდებს.

კვლევის მსვლელობისას ხელნაწერი მასალის პალეოგრაფიული და თემატური თავისებურებების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა ქართული გრაგნილების დანიშნულების ორი ძირითადი მიმართულება - საეკლესიო და საერო. გაირკვა, რომ საეკლესიო დანიშნულების გრაგნილებზე ძირითადად გადაწერილია იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიებისა და ზიარების ლოცვების განსხვავებული რედაქციები. ტექსტებში გამოვლენილი სტრუქტურული ცვლილებები და რედაქციათა სიმრავლე გამოძახილია გვიან შუა საუკუნეებსა და ახალ დროში ბიზანტიური ტრადიციის ლიტურგიულ პრაქტიკაში, რომელსაც ქართული ეკლესია მოჰყვებოდა XIV ს-მდე, დაწყებული პროცესუალური ცვლილებებისა. ყველა ეს გრაგნილი, გადაწერილი ეტრატზე, ხასიათდება მრავლობითი დაზიანებით, რომელთა გამომწვევი მიზეზებისა და შესაძლო რისკების კვლევის საფუძველზე აღნიშნულ ერთეულებზე ჩატარდა პრევენციული საკონსერვაციო სამუშაოები.

საერო დანიშნულების გრაგნილები ასახავენ ხელნაწერი წიგნის სოციალიზაციის, ფართო სოციუმის წერილობითი ძეგლებით დაინტერესების პროცესს. აღსანიშნავია, რომ ეს გრაგნილები შეიცავენ ოჯახურ გენეალოგიებსა და ბოროტი ძალებისგან დამცავ ტექსტებს, ე.წ. ავგაროზებს. საერო გრაგნილები გადაწერილია სხვადასხვა ხარისხის ქაღალდზე, რაც დამოკიდებულია მომხმარებლის სტატუსსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

გრაგნილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარების შემდგომ ციფრული ვერსიების შექმნის მიზნით ერთეულები გადაეცემა დიגיტალიზაციის ლაბორატორიას.

ლიტერატურულ გრაგნილებსა და მათი კვლევის შედეგებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ცენტრის ციფრული ჰუმანიტარის სპეციალისტ მანუჩარ გუნცაძის მიერ იქმნება ქართული გრაგნილების მონაცემთა ბაზა, რომელიც განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე.

ქართული გრაგნილების შესწავლა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „გრაგნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა“ (FR 21-695, 2022–2025) ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერი; გრაგნილი; ლიტურგია; ავგაროზი; პრევენციული კონსერვაცია;

შესავალი

გრაგნილი შუა საუკუნეების ხელნაწერის ერთ-ერთი საინტერესო ფორმაა, რომელსაც უმთავრესად დოკუმენტის გავრცელების ფუნქცია ეკისრებოდა. მაგრამ ამასთანავე იგი მცირე მოცულობის სალიტერატურო ტექსტების გადაწერისათვისაც გამოიყენებოდა. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სალიტერატურო შინაარსის გრაგნილების კვლევის შედეგები. ქართული სალიტერატურო გრაგნილები ფუნდამენტურად არ შესწავლილა. გამოქვეყნებულია მხოლოდ ხელნაწერი წიგნის ამ ფორმის შესახებ ზოგადი ინფორმაცია (ჯავახიშვილი 1996:69-70; დანელია, სარჯველაძე 1997:296). კოდიკოლოგიური კვლევისა და გრაგნილის მნიშვნელობის განსაზღვრის გარეშე მხოლოდ ტექსტოლოგიურად შესწავლილი და გამოცემულია XII ს-ის ორ გრაგნილზე გადაწერილი ჟამისწირვისა (Tarchnisvili 1950; ქაჯაია 1992:113-114, 298-317) და 3 გრაგნილზე დაცული „ავგაროზების“ ანუ თილისმების ტექსტები (ჩხიკვაძე 2007:154-162).

მაგრამ ცალკეულ გრაგნილზე გადაწერილი ტექსტების შესწავლა და პუბლიკაცია არ იძლევა ხელნაწერი წიგნის ამ ფორმის წარმოებისა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრის სრულ სურათს, თუ არ გამოიკვეთა ყოველი ერთეულის შექმნის მიზნები, მათი პრაქტიკული დანიშნულება, გადაწერი, დამკვეთი და დამფინანსებელი სოციუმი. შესაბამისად, გრაგნილ ხელნაწერებს მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვთ. გარდა ამისა, თითოეული ერთეული ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია, რომლის დაცვა-აღრიცხვა ხელნაწერი სიძველეების კვლევის უმთავრესი პირობაა. ამიტომაც სალიტერატურო გრაგნილების კვლევა წარმართა არა მხოლოდ მათი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრის, არამედ ხელნაწერი კულტურული მემკვიდრეობის ამ ერთეულების დაცვისა და აღრიცხვის პირობების გაუმჯობესების მიმართულებითაც. ხელნაწერის ფორმიდან გამომდინარე, კლიმატური თუ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით მეტად მაღალია დახვეული ნაწერი ფურცლების დაზიანების რისკი, რაც ართულებს გრაგნილებზე გადაწერილი ტექსტების ამოკითხვისა და კვლევის პროცესს. სწორედ ამ მიზეზით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შემოკლებით ხეც) ბაზაზე დაიწყო გრაგნილი ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა კოდიკოლოგებისა და ცენტრის რესტავრატორის ჩართულობით.

მეთოდოლოგია

გრაგნილ ხელნაწერთა ინტერდისციპლინური კვლევის პროცესი წარმართა შემდეგი მეთოდოლოგიური საფეხურებით: ერთეულების დაცულობის მდგომარეობის ფიქსაციის მიზნით არაინვაზიური ვიზუალური დათვალიერებისა და ემპირიული ანალიზის მეთოდების საფუძველზე კვლევის ოპტიმალური შედეგების მისაღწევად გრაგნილები გაიმიჯნა ქრონოლოგიური, საწერი მასალის ფაქტურული (ეტრატი, ქაღალდი) და თემატური სხვაობების მიხედვით, მკვლევარ რესტავრატორის მიერ მასალის სტრუქტურული ანალიზის მეთოდის გამოყენებით შედგა საკვლევი ერთეულის არქეოგრაფიული აღწერილობა. მასალის სისტემატიზაციის პროცესში ერთეულების კვლევა დაეყრდნო ისტორიულ-ფილოლოგიურ, კოდიკოლოგიურ და წყაროთმცოდნეობით კვლევაში შედარებითი და თვისობრივი ანალიზის აპრობირებულ მეთოდებს. ფოტოფიქსაციისა და დაზიანებათა მიკროსკოპიული დიაგნოსტიკის მეთოდის გამოყენებით პრევენციული კონსერვაცია წარმართა გრაგნილთა ავთენტური ელემენტების ფიქსაციის მიმართულებით, რამაც კოდიკოლოგებს მისცათ საშუალება ამოეკითხათ დაზიანებულ გვერდებზე არსებული ტექსტები, აღედგინათ დაშლილი გრაგნილების კეფების თანამიმდევრობა, პალეოგრაფიული ანალიზისა და

ისტორიულ-შედარებითი მეთოდების გამოყენებით დაეზუსტებინათ უთარილო გრაგნილების წარმოების ქრონოლოგიური ზღვრები.

შედეგები

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ დაცული 12 000 ქართული ხელნაწერი წიგნიდან ლიტერატურული შინაარსის გრაგნილი მხოლოდ 112 ერთეულია, რომელთა წარმოების ქრონოლოგიური ზღვრები XII-XIX სს-ს მოიცავს.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, გრაგნილი ხელნაწერები გვაწვდიან მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შუა საუკუნეში განვითარებული კულტურულ-ისტორიული პროცესების შესახებ. ისინი, ერთი მხრივ, ასახავენ გვიან შუა საუკუნეებში საეკლესიო პრაქტიკაში მიმდინარე პროცესულურ ცვლილებებს, სავარაუდოდ, ლიტურგიკული რიტუალის გამარტივებით გამოწვეულ ტექსტობრივ ცვლილებებს. ამ პროცესის განვითარებას განაპირობებს XIV-XV სს-დან საქართველოში შექმნილი ისტორიული პირობები: ცენტრალიზებული საეკლესიო მართვის არარსებობის ფაქტი, რის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითსაც წარმოადგენს 1470-1474 წლებში გაფორმებული „მცნებად სასჯულოდ“ (დოლიძე 1970: 221-233), რომელმაც ფაქტობრივად გაყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიები; ცენტრალურ და პერიფერიულ საეკლესიო სივრცეებს შორის სუსტი კავშირის არსებობა და, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია, საღვთისმსახურო პროცესში სოციუმის ჩართულობის მზაობის შესუსტება. სწორედ ამ ფაქტის დადასტურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ XIV ს-ში გრაგნილ ხელნაწერებზე გადაიწერა ჩვენი სამწერლობო პრაქტიკისათვის მანამდე უცნობი იესო ქრისტეს აპოკრიფული წერილი კვირა დღის სიწმინდის შესახებ, რომელსაც „საკვრაოდ“ ეწოდა და რომელშიც საკვირაო მსახურებისა და ეკლესიათა პატივისცემის მნიშვნელობაზეა საუბარი.

ამასთანავე გრაგნილი ხელნაწერები მკაფიოდ გამოკვეთს ხელნაწერი წიგნის სოციალიზაციის პროცესს, წერილობითი ძეგლებით ფართო სოციუმის დაინტერესების მასტიმულირებელ მოტივებს. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია საერო წოდების ინტერესი შეიქმნას დინასტიური თუ გვაროვნული მატრიანეები არა ქრონიკების, არამედ გენეალოგიებისა და სულთა მოსახსენებლების სახით. მართალია, ამ სახის მატრიანეები ხელნაწერი კოდექსების მინაწერების სახითაც გვხვდება (მეტრეველი 1962; კლდიაშვილი 2086: 20, 248-306), მაგრამ გრაგნილი, რომელის ფორმაც, როგორც ჩანს, დოკუმენტთან იყო ასოცირებული, რაც ამ სახის ძეგლების შექმნის მასტიმულირებელ იმპულსად იქცა (ჩხიკვაძე 2023ბ:18-31). დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრაგნილთა შორის გვხვდება სულთა მატრიანეები Q-267, H-2090, H-2401; H-2092, H-2093ა, H-2093დ (ინგოროყვა 1941:118-162; მარგიანი 1999:401-422; სილოგავა 2008) და გენეალოგიები ბაგრატიონებისა (Q-158 ა), თუმანიშვილებისა (Q-158 ბ) და თაქთაქიშვილებისა (Q-158 გ). გრაგნილ ხელნაწერებზე საერო პირთა გვიანდელი არამწიგნობრული ხელითა და უხარისხო მეღნიტე შესრულებული მინაწერები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამწერლობო საქმისადმი ინტერესმა პროფესიონალ გადამწერთა წრიდან ფართო სოციუმისაკენაც გადაინაცვლა.

მსჯელობა

სალიტერატურო შინაარსის გრაგნილ ხელნაწერთა შესწავლა მრავალ საინტერესო საკითხზე დაფიქრებისკენ გვიბიძგებს. პირველი კითხვა, რომელიც ამ პრობლემების განხილვისას იბადება, შეეხება ამ ფორმის ხელნაწერის პირველი ნიმუშების ჩვენს სამწერლობო ტრადიციაში წარმოშობის თარიღს. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ სალიტერატურო გრაგნილთა უძველესმა ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ქართულ წერილობით კულტურაში გრაგნილი ხელნაწერების მნიშვნელობის კვლევა არ შემოისაზღვრა მხოლოდ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალით. შუა საუკუნეების კულტურული ურთიერთობების კონტექსტში ქართული გრაგნილების მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით მუშაობა წარიმართა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქრისტიანულ გრაგნილთა კვლევის შედეგების გათვალისწინებისაკენ. როგორც გაირკვა, ზოგადი და მეტად მწირი ინფორმაციის გარდა, ამ სახის კვლევა ჯერჯერობით არაა ჩატარებული (Мещер 1996:334). კვლევა შეეხო საქართველოსა და საზღვარგარეთ დაცულ ქართულ ხელნაწერებსაც. არსებული სამეცნიერო აღწერილობების საფუძველზე მოძიებულ იქნა სრული ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ არქივში (არქივის ფონდის აღწერილობა 2018; 2016; 2019), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (გლოველი 2015), სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (გლოველი 2015), სამცხე-ჯავახეთისა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცული ერთეულების შესახებ (ჩხიკვაძე 2023ა). გაირკვა, დღემდე შემორჩენილი 112 ქართული სალიტერატურო გრაგნილი, რომელთაგან 74 ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ყველაზე ადრეული, XII ს-ის, გრაგნილი დაცულია ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შუა საუკუნეების ქართული სამონასტრო ცენტრებიდან სალიტერატურო გრაგნილები შედის მხოლოდ სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ კოლექციაში, ისიც მხოლოდ XIII ს-ით დათარიღებული ცხრა ერთეული (აღმოჩენები 2005:327-331)

გრაგნილთა ადრეული ნიმუშების არარსებობის ფაქტს სავსებით ბუნებრივი საფუძველი მოეძებნა. ცნობილია, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზის სამწერლობო სივრცეში, რომელთან მჭიდრო კავშირშიც ვითარდება ქართული წერილობითი კულტურა, გრაგნილმა უკვე V ს-ში დაუთმო პირველობა კოდექსს ანუ ხელნაწერ წიგნს, რომელიც მოცულობითი ტექსტების გადაწერისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის გაცილებით ხელსაყრელ ფორმას წარმოადგენდა. ქართული ხელნაწერის ტრადიციის სათავეები ქრისტიანული მორალისა და დოგმების ათვისებასა და საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების სამართლებრივ ორგანიზაციას უკავშირდება (კეკელიძე 1980:411-416; ჯავახიშვილი 1977, დანელია, სარჯველაძე 1997:105-127). ჩვენამდე მოღწეული პალიმფსესტური ფურცლები სახარებისა და მოცულობითი საღვთისმსახურო კრებულების - ლექციონარების, იადგარებისა და მრავალთავების ფრაგმენტებს წარმოადგენს. ამავე ჟანრისაა უძველესი თარიღიანი ხელნაწერებიც _864 წლის სინური მრავალთავი, 897 წლის ადიშისა და 936 წლის ჯრუჭის I ოთხთავები.

გრაგნილთა მნიშვნელობისა და წარმოშობის მიზეზების დადგენის ერთ-ერთ საგულისხმო პირობას მათი თემატურ-ჟანრული თავისებურება წარმოადგენს. ამ მიმართულებით მასალის კვლევამ გამოავლინა, რომ გრაგნილთა დიდი ნაწილი საეკლესიო-სამრევლო მსახურების აღსრულებისათვის განკუთვნილი წიგნია. ამათგან უმეტესი - 45 ერთეული - კონდაკი ანუ ჟამისწირვაა. ამავე დანიშნულების გრაგნილებს მიეკუთვნება საგალობელთა, წირვისა და მირონის კუთხევის წესებისა და აპოკროფულ თხზულება „ავგაროზის ეპისტოლის“ შემცველი ხელნაწერები. ქრისტიანული ღვთისმსახურების ყველა ეს

მნიშვნელოვანი წიგნი IX-XI სს-ში ვრცელი ლიტურგიკული კრებულების, მათ შორის კურთხევანების, შემადგენელი ნაწილი იყო.

საგანგებო ყურადღება გამახვილდა გრაგნილებზე გადაწერილი ჟამისწირვის ტექსტებზე, რომელთაც აღმწერლები კონდაკის სახელწოდებით აღნუსხავენ ლურსმნის ფორმის ხის იმ დიდი საყრდენი ჯოხის გამო, რომელზეც დამაგრებულია გრაგნილის ბოლო კეფი (კეკელიძე 1980:581). თუმცა კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზეც, რომ ხის საყრდენი ჯოხი აქვს არა მხოლოდ ჟამისწირვის, არამედ სხვა თემატიკის, მაგალითად, „ავგაროზის“ სახელწოდებით ცნობილ გრაგნილებსაც. აქედან დაიბადა თავად ტერმინ „კონდაკის“ დაზუსტების აუცილებლობაც, მით უფრო, რომ ადრეულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში იგი საგალობელს აღნიშნავს.

გრაგნილი ჟამისწირვების წარმოშობისა მიზეზებისა და პრაქტიკული დანიშნულების განსაზღვრისათვის სამეცნიერო კვლევა დაეყრდნო როგორც ადრეული ქართული ლიტურგიკული კრებულების O.Sin.Geo. 53 და O.Sin.Geo.54 მონაცემებს (სინური კოლექციის აღწერილობა 1987: 55-67), ასევე ზოგადად ქრისტიანული საღვთისმსახურების პრაქტიკის ისტორიისა (Baumschtark 1923; Taft 1977: 8-30) და ქართული ლიტურგიკული ტრადიციის კვლევის შედეგებს (კეკელიძე 1980:580-585; Кекелидзе 1909: XIII-XVI, 1-22). ტექსტების კომპარატივისტულმა კვლევამ ნათელი გახადა, რომ ქართულ გრაგნილებზე გადაწერილ ჟამისწირვათა ნაწილი არქიტექტონიკითა და ტექსტობრივი თავისებურებებით არ მიჰყვება კლასიკური ხანის ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში გავრცელებული ჟამისწირვის ტექსტებს. გრაგნილებზე გადაწერილი ჟამისწირვების სტრუქტურა რიგ შემთხვევებში გამარტივებულია, არ ფიქსირდება რიტუალური მითითებები, ექპარისტული ლიტურგიის პროცესში დიაკვნისა და მრევლის ჩართულობის დამადასტურებელი მონაკვეთები (ხეც H-191, XIV ს.).

კომპოზიციურ ცვლილებას განიცდის, ასევე, გრაგნილებზე ფიქსირებულ აპოკრიფ „ავგაროზის ეპისტოლის“ ტექსტიც. ქრისტიანული მწერლობის ეს თხზულება ბიზანტიურ მწერლობაში დამოუკიდებელ თხრობად ჩამოყალიბებისთანავე ითარგმნა ქართულ ენაზე და საფუძველი ჩაუყარა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის კანონიზაციის თემას. გარდა ამისა, „ეპისტოლემ“ ლიტურგიკული ტექსტის მნიშვნელობაც შეიძინა და უკვე XI ს-ში ზიარების ლოცვათა შორის დაიმკვიდრა ადგილი, რისი ყველაზე ადრეული მაგალითია ლიტურგიკულ კრებულ O.Sin.Geo.78-ის პირველი ნაწილი. მოგვიანებით, XIV-XV სს-ში, ტექსტმა სახარების ცალკეულ მუხლებსა და წმ. კვირიანეს, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირის ლოცვებთან ერთად კურთხევანებსა და ლოცვათა კრებულებში - ხეც A-1110, H-1331, H-3027 - შევიდა (ჩხიკვაძე 2007:97-124). გრაგნილზე გადაწერილი „ეპისტოლე“ Q-1263 აღარ წარმოადგენს ცალკე ტექსტს, იგი შერწყმულია ზემოთ დასახელებულ ლოცვათა ტექსტებთან და ერთი ვრცელი ლოცვის ფუნქცია ეკისრება.

გრაგნილთა კოდიკოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა, რომ საეკლესიო-სამრევლო მსახურების დანიშნულებით XIV-XVII სს-ში შექმნილი გრაგნილები გადაწერილია ეტრატზე, რიგ შემთხვევებში პალიმფსესტურ ფურცლებზე, ტექსტი ორგანიზებულია შუა საუკუნეების ქართული კოდექსებისათვის დამახასიათებელი წესრიგით: დაცულია არშიები, საკვანძო მონაკვეთთა საწყისი სიტყვები და ლიტურგიკული შენიშვნები გამოყოფილია წითელი მელნით. ამ ჯგუფის ყველა გრაგნილის ზედაპირის კეფები გამუქებული, შემჭვარტლული და დაზიანებულია ხშირი გამოყენების გამო. მათი მოხმარების პირველად სივრცესა და სიძველესაცავე შორის არსებული ტემპერატურული და ტენიანობის პირობებს შორის

არსებული განსხვავებების გამო გრაგნილთა ნაწილი გამომშრალი და მყიფეა, აღინიშნება სანთლის ნაღვენთა კვალი, კეფები მორღვეული და ზოგან სრულად, ზოგან ნაწილობრივ დაშორებულია ერთმანეთს. იძებნება ფრაგმენტულად მოღწეული გრაგნილებიც (თავაძე, მეგენიშვილი 2022: 372-396). ამ ტიპის ერთეულების კვლევა იწყება მხოლოდ მათზე პრევენციული კონსერვაციის სამუშაოების ჩატარების შემდეგ, გამუქებული კეფები იწმინდება სველი წესით, გამომშრალი ეტრატის რბილდება სპეციალურ ბოქსში; კოდიკოლოგთა მიერ ტექსტის ამოკითხვის შემდგომ მოცილებული კეფი მაგრდება სათანადო თანამიმდევრობით.

გრაგნილთა მეორე ჯგუფს განეკუთვნება საერო წრის საკუთრებისათვის დამზადებული ერთეულები - სულთა მატრიანები, საგვარეულო გენეალოგიები, ბოროტ ძალთაგან დამცავი ფუნქციის „ავგაროზები“ ანუ თილისმები, რომელთა ტექსტები არაერთგვაროვანია. ამ გრაგნილთა უმეტესი ნაწილი გადაწერილია ქალაქდზე, მფლობელისა თუ დამკვეთის სოციალური სტატუსის შესაბამისად, „ავგაროზთა“ ნაწილი შემკულია წმინდანთა გამოსახულებებით და ბუდეშია მოთავსებული. საერო პირთა მფლობელობისათვის თილისმის ფუნქციით გადაწერილი გრაგნილები ნაკლებადაა დაზიანებული, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა დროსაც ტექსტი მაღალი ხარისხის თხელ ქალაქდზეა გადაწერილი და ფურცელთა კიდებია ჩახეული. ამ შემთხვევაში პრევენციული კონსერვაციის მიზნით მაგრდება ტექსტისაგან თავისუფალი დაზიანებული ადგილები. საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებისას გამოვლინდა ხის სამაგრი ჯოხების ანუ კონდაკების განსხვავებული ფორმები.

დასკვნები

ამრიგად, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სალიტერატურო გრაგნილების ინტერდისციპლინურმა კვლევამ გამოავლინა, რომ ფორმითა და შინაარსით განსხვავებული ხელნაწერების წარმოშობას განაპირობებს ეპოქის შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა გავლენაც აისახება ყოველი ერთეულის შექმნისა და გავრცელების ფაქტზე. სასულიერო შინაარსის ერთი და იმავე ტექსტის თანადროული არაიდენტური, განსხვავებული არქიტექტონიკის ხელნაწერების არსებობა მიანიშნებს ერთიანი საეკლესიო მმართველობის შესუსტების ფაქტს. სწორედ გრაგნილ ხელნაწერებზე გადაწერილი „ჟამისწირვები“ დაგვაფიქრებენ იმაზეც, თუ რამდენად აისახებენ საეკლესიო სივრცეზე სოციალურ გარემოში განვითარებული ტენდენციები.

სალიტერატურო გრაგნილების წარმოშობა მიუთითებს კლასიკური ხანის (X-XIII სს.) ხელნაწერი კრებულების დაშლისა და ცალკეული მცირე მოცულობის შემცველი იმ ტიპის ერთეულების წარმოქმნას, რომელთა გავრცელება ტექსტის საჭიროებისა და მასზე მოთხოვნის შესაბამისად გაცილებით ეფექტური და ხელსაყრელია. ირკვევა, რომ სასულიერო შინაარსის გრაგნილები, მათზე არსებული მინაწერების საფუძველზე ვრცელდება საქართველოს პერიფერიებში. შესწავლილ გრაგნილთა უმეტესი ნაწილი სვანეთიდან არის შემოსული სამუზეუმო სივრცეში. ამავე მინაწერების საფუძველზე ირკვევა, რომ XIV-XV სს-დან მოყოლებული სამწიგნობრო საქმიანობისადმი ინტერესი სცდება მხოლოდ პროფესიონალ მწიგნობართა საზოგადოებას და ფართო სოციალურ იკიდებს ფეხს.

ხელნაწერ სიძველეებზე არსებული დაზიანებები ასახავენ, ერთი მხრივ, წიგნზე მოთხოვნის სიხშირეს, მეორე მხრივ, საწერი მასალის ხარისხისა და მისი დამუშავების

ხარვეზებს. ეტრატზე არსებული ნახეთქები, მელნის გაუფერულების ფაქტები, ქალაქის კიდეების დაზიანება ფიქსირდება უხეშად დამუშავებულ მასალაზე გადაწერილ გრაგნილებში. აღნიშნული ფაქტების განზოგადება ხელს უწყობს წიგნთან დაკავშირებული ხელობებისა თუ წარმოებითი პროცესების ანალიზს.

გამოყენებული ლიტერატურა

- არქივის ფონდის აღწერილობა. (2016). *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი). ქეთევან ასათიანის, მიხეილ ქავთარიას, დალი ჩიტუნაშვილის რედაქციით.* თბილისი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- არქივის ფონდის აღწერილობა. (2018). *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი). ქეთევან ასათიანის, მიხეილ ქავთარიას, დალი ჩიტუნაშვილის რედაქციით* ტ. II. თბილისი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- არქივის ფონდის აღწერილობა. (2019). *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი). ტ. III. ქეთევან ასათიანისა და დალი ჩიტუნაშვილის რედაქციით.* თბილისი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
- აღმოჩენები. (2005). *ახალი აღმოჩენები სინის მთაზე. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. შეადგინეს ზაზა ალექსიძემ. „მზექალა შანიძემ, ლილი ხევსურთანმა, მიხეილ ქავთარიამ.* ათენი: გამომცემლობა „ეპტალოფოს“.
- გლოველი, შ. (2015) *საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები. კატალოგი. შალვა გლოველის რედაქციით.* თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- დანელია, კ., სარჯველაძე, ზ. (1997). *ქართული პალეოგრაფია.* თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
- დოლიძე, ი. (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“
- ინგოროყვა, პ. (1941). *სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი მეორე. მატთანე სუანეთის კრებისად.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- თავაძე, შ. მეგენიშვილე, ნ. (2022). *ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერი გრაგნილების ინტერდისციპლინური თავისებურებები, სამეცნიერო ჟურნალი „Scientia“ N3.* თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი გვ. 372-396.
- კეკელიძე, კ. (1980). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- კლდიაშვილი, დ. (2008). *ქართული სამონასტრო სულთა მატთანეები. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატთანე, ტექსტები და გამოკვლევა.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

- მარგიანი, ს. (1999). *სვანეთის სულთა მატთანე („მატთანე სვანეთისა კრებისაჲ“)* (ძეგლის მოკლე ისტორიულ-არქეოგრაფიული მიმოხილვა): ჟ. მრავალთავი, XVIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- მეტრეველი, ელ. (1962). *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI-XII სს-ში*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სილოგავა, ვ. (1986). *სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატანეები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სინური კოლექციის აღწერილობა (1987). *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი III. ელ. მეტრეველის რედაქციით*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ქაჯაია, ნ. (1992). *ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჩხიკვაძე, ნ. (2007). *„ავგაროზის ეპისტოლის“ ძველი ქართული რედაქციები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- ჩხიკვაძე, ნ. (2023)ა. *ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ. ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით*. თბილისი: კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- ჩხიკვაძე, ნ. (2023)ბ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ წიგნთა ფონდში დაცული გრაგნილების კვლევის მნიშვნელობისათვის: გრაგნილი ხელნაწერები. ლ.შათირიშვილის რედაქციით*. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- ჯავახიშვილი, ივ. (1977). *ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჯავახიშვილი, ივ. (1996). *ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- Baumstark, A. (1923). *Von geschichtlichen Werden der Liturgie*. Kempten.Miinchen.
- Taft R.F. (1977). *The Evolution of the Byzantine “Divine Lyturgie”*. *Orientalia Christiana Periodica XLIII*. Roma.
- Tarchnisvili, M.(1950) *Liturgiae ibericae Antiquioresw. Corlus Scriptorum Christianorum Orientalium. Scriptoros Ibeici. S.I. T. 1. Lovani*
- Кекелидзе, К.(1909). *Литургические грузинские памятники в отечественных книгохра-нилицах и их научное значение*. Тифлис : типография “Братство”.
- Мецгер Б. (1996). *Текстология Нового Завета: Рукописная традиция, возникновение искажений оригинала*. Москва: Боблеиско-богословский институт св. Андрея.

REFERENCES

- arkivis pondis aghts'eriloba (2016). *kartul khelnats'erta aghts'eriloba (sakartvelos erovnuli arkivis khelnats'erta pondi). ketevan asatianis, mikheil kavtarias, dali chit'unashvilis redaktsiit. [Catalogue of Georgian Manuscripts (Manuscript collection of the National Archives of Georgia. Edited by Ketevan Asatiani, Mikhail Kavtaria, Dali Chitunashvili].* tbilisi: sakartvelos iust'itsiis saminst'ro.
- arkivis pondis aghts'eriloba (2018) .*kartul khelnats'erta aghts'eriloba (sakartvelos erovnuli arkivis khelnats'erta pondi). ketevan asatianis, mikheil kavtarias, dali chit'unashvilis redaktsiit t'. II. [Catalogue of Georgian Manuscripts (Manuscript collection of the National Archives of Georgia. Edited by Ketevan Asatiani, Mikhail Kavtaria, Dali Chitunashvili].* tbilisi: sakartvelos iust'itsiis saminst'ro.
- arkivis pondis aghts'eriloba (2019). *kartul khelnats'erta aghts'eriloba (sakartvelos erovnuli arkivis khelnats'erta pondi). t'. III. ketevan asatianisa da dali chit'unashvilis redaktsiit. [Catalogue of Georgian manuscripts (Manuscript collection of the National Archives of Georgia. Edited by Ketevan Asatiani and Dali Chitunashvili].* tbilisi: sakartvelos iust'itsiis saminst'ro.
- aghmochenebi (2005). *akhali aghmotsenebi sinis mtaze. kartul khelnats'erta aghts'eriloba.sheadgines zaza aleksidzem. ,mzekala shanidzem, lili khevsurianma, mikheil kavtariam.[The new Finds of Sinai. Catalogue of Georgian Manuscripts. Prepared by Zaza Aleksidze, Mzakala Shanidze, Lily Khevsuriani and Michael Kavtaria].* ateni: gamomtsemloba „ep'talapos“.
- gloveli, sh.(2015) *sakartvelos regionebshi datsuli kartuli khelnats'erebi. k'at'alogi. shalva glovelis redaktsiit. [Georgian Manuscripts Preserved in the Regions of Georgia. Catalogue. Edited by Shalva Gloveli].* tbilisi: khelnats'erta erovnuli tsent'ri.
- danelia, k'., sarjeladze, z. (1997). *kartuli p'aleografiia. [Georgian Paleography].* tbilisi: gamomtsemloba „nek'eri“.
- dolidze, i. (1970). *saek'lesio sak'anonmdeblo dzeglebi. kartuli samartlis dzeglebi.t'.III [Monuments of Church Legislation. Monuments of Georgian Law].*tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“
- tavadze sh., megeneishvili n. (2022). *et'rat'ze shesrulebuli pragment'uli khelnats'eri gragnilebis int'erdistisip'linuri taviseburebi. [Interdisciplinary Features of Handwritten Fragments of Parchment Scrolls].* sametsniereba zhurnali „Scientia“ N3 Tbilisi: k'orneli k'ek'elidzis sakhelobis sakartvelos khelnats'erta erovnuli tent'ri..
- ingoroq'va, p'. (1941) *svanetis saist'orio dzeglebi. nak'veti meore. mat'iane suanetis k'rebisay. [Historical Monuments of the Svaneti. P. 2. Chronicle of the Svaneti Congregation].* tbilisi: sakartvelos sss metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba.
- k'ek'elidze, k'.(1980). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria.t.1 [History of Ancient Georgian Literature. v.1] tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.*
- k'ldiashvili, d.(2008). *kartuli samonast'ro sulta mat'ianeebi. sinas mtis ts'm. ek'at'erines monast'ris kartvelta ek'lesiis sulta mat'iane, t'ekst'ebi da gamok'vleva. [Synodicon of the Georgian Church of the Mount Sinai's St. Catherine Monastery Texts and research].* tbilisi: gamomtsemloba „art'anuji“.
- margiani, s. (1999) *svanetis sulta mat'iane („mat'iane suanetisa k'rebisay“) (dzeglis mok'le ist'oriul-arkeografiuli mimokhilva): zh. mravaltavi, XVIII. [The Svaneti Synodicon ("Chronicle of the Congregation of Svaneti") (Brief Historical-Archaeographic Overview of the Monument)]. . “Mravaltavi”.XVIII].* tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- met'reveli, el. (1962). *masalebi ierusalimis kartuli k'olonii ist'oriisatvis XI-XII ss-shi, [Materials for the History of the Georgian Colony of Jerusalem in the XI-XII Centuries],* tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- silogava, v. (1986). *svanetis ts'erlobiti dzeglebi, I, ist'oriuli sabutebi da sulta mat'ianeebi. [Written Monuments of Svaneti, I, Historical Documents and Synodicon].* tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“


- sinuri k'olektsiis aghts'eriloba (1987). *kartul khelnats'erta aghts'eriloba, sinuri k'olektsia, nak'veti III. el. met'revelis redaktsiit.*[*Catalogue of Georgian Manuscripts. Sinai Collection, P.ot III. Edited by Metreveli*]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- kajaia, n. (1992). *basili k'esarielis tkhzulebata dzveli kartuli targmanebi* [Old Georgian Translations of the Works of Basil of Caesarea]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- chkhik'vadze, n. (2007). „avgarozis ep'ist'olis“ dzveli kartuli redaktsiebi [Old Georgian Recentios of the "Epistula Abgari"]. tbilisi: gamomtsemloba „art'anuji“.
- chkhik'vadze, n. (2023)a. kartuli khelnats'eri ts'igni sazghvargaret. nest'an chkhik'vadzis redaktsiit.[*The Georgian Manuscript Book Abroad. Edited by Nestan Chkhikvadze*]. tbilisi: k'orneli k'ek'elidzis sakartvelos khelnats'erta erovnuli tsent'ri.
- chkhik'vadze, n. (2023)b. khelnats'erta erovnuli tsent'ris khelnats'er ts'ignta pondshi datsuli gragnilebis k'vlevis mnishvnelobisatvis: gragnili khelnats'erebi. l.shatirishvilis redaktsiit.[For the Research Importance of Scrolls Preserved in the Manuscript Book Collection of the National Manuscript Center: Scroll Manuscripts. Edited by L. Shatirishvili.] tbilisi: k'orneli k'ek'elidzis sakartvelos khelnats'erta erovnuli tsent'ri.
- javakhishvili, iv. (1977). dzveli kartuli saist'orio mts'erloba.tkhzulebani tormet' t'omad. t'.VIII. [*Old Georgian Historical Writing. Essays in Twelve Volumes. Volume VIII*]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- javakhishvili, iv. (1996). kartuli damts'erlobatmtsodenoba anu p'aleograpia: tkhzulebani tormet' t'omad, t'. IX. [*Georgian Paleography: Essays in Twelve Volumes. Vol. IX*]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“.
- Baumstark, A. (1923). Von geschichtlichen Werden der Liturgie. Kempten.Miinchen.
- Taft R.F. (1977). The Evolution of the Byzantine “Divine Lyturgie”. *Orientalia Christiana Periodica* XLIII. Roma.
- Tarchnisvili, M.(1950) *Liturgiae ibericae Antiquioresw. Corlus Scriptorum Christianorum Orientalium. Scriptorum Ibeici. S.I. T. 1. Lovani*
- Кекелидзе, К.(1909). *Литургические грузинские памятники в отечественных книгохра-нилищах и их научное значение*. Тифлис : типография “Братство”.
- Мецгер Б. (1996). *Текстология Нового Завета: Рукописная традиция, возникновение искажений оригинала*. Москва: Боблейско-богословский институт св. Андрея.

გრაგნილები


ფოტო 1. „ბასილი დიდი ჟამისწირვა“, ეტრატი, XIII-XIV მიჯნა, ხეც S-4980



ფოტო 2. „იოანე ოქროპირის ჟამისწირვა“, ეტრატი, XIII-IV სს. მიჯნა, ხეც A-757




ფოტო 3. „ავგაროზის ეპისტოლე“, ეტრატი, XIV ს. ხეც Q-1263



ფოტო 4. „ჟამისწირვა“, ეტრატი, XVI ს. H-515 კონსერვაციამდე



ფოტო 5. H-515 კონსერვაციის შემდგომ



მადლიერება

სტატიის ავტორები მადლობას მოახსენებენ:

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დიგიტალიზაციის ლაბორატორიის თანამშრომლებს - ვასილ თარგამაძესა და დიმიტრი გურგენიძეს საკვლევი ერთეულების ციფრული ასლების დამზადებისათვის.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა და ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის ხელმძღვანელ თამარ აბულაძესა და ხელნაწერ წიგნთა საცავის მცველ ნათია ხიზანიშვილს ლიტერატურულ გრაგნილთა შეუფერხებელი მოწოდებისთვის.

საქართველოს ეროვნული არქივის დაცვისა და აღრიცხვის განყოფილებას მათ ფონდებში დაცულ სალიტერატურო გრაგნილებზე მუშაობის ხელშეწყობისა და ციფრული ასლების გადმოცემისათვის.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექციასა და ხელნაწერთა განყოფილებას, ქალბატონ ციცინო მუმლაძეს მუზეუმში დაცულ გრაგნილებზე მუშაობაში ხელშეწყობისათვის.